1 (13) სეკტემბერს 1867. № 35. მეორე წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გაზეთის ფასი:**

| ბეგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

**შინაარსი:** — ტფილისის რეალურის გიმნაზიიდგან. — პოლიტიკა: ფრანცია. იტალია. ისპანია. — ტელეგრამმები. — „დროების“ კორრესპონდენცია: გორის უეზდიდამ. ლექსები: განსჯა. ფელეტონი: შეუსრულებელი სურათი. სახაზინო განცხადება. საბიბლიოგრაფიო ცნობა. კერძოობითი განცხადება.

### მმართებლობის განკარგულება.

ტფილისის რეალურის გიმნაზიიდგან. ახლად მისაღების ყმაწვილებისთვის ტფილისის რეალურს გიმნაზიაში დანიშნულია ეგზამენები ამ სეკტემბრის 1-ის რიცხვიდგან 10-ს რიცხვამდე. ვისაც ჰსურს ამ სასწავლებელში ყმაწვილების მიცემა, იმან უნდა წარადგინოს ზემოხსენებულის სასწავლებელის დირეკტორის სახელზე თხოვნა და ამასთანავე შემდეგი დოკუმენტები: 1) მეტრიკის მოწმობა, 2) მოწმობა ყმაწვილის მრთელ აგებულებაზე და ყვავილის აჩრაზე და 3) გვაროვნების დოკუმენტი.

## პოლიტიკა.

**ფრანცია.** ალჟირია. სანაციონალო გაზეთში სწერენ პარიჟიდამ: გაზეთის Journal des-Débats კორრესპონდენტის სიტყვით პრუსიის მთავრობა შეუჩერებლათ ემზადება ომისთვის და თავს იმითი იმართლებს, რომ სხვა სახელმწიფოებიც აგრეთვე მზადებაში არიანო. უნდა ვსთქვათ, რომ მარშალი ნიელი მუდამ იმედოვნებს იქნება, როგორმე ფრანციის ჯარი მილიონ ორას ათას კაცამდის გავხადოო. თუ აფიცრები დასჭირდა, ასი მოწაფე სენ-სირის შკოლისა ხელათა ჰყავს; ამას გარდა დიდი ხანი არ არის, რაც პოლიტეხნიკური შკოლიდამ აფიცრებათ გამოუშვეს ყველა მოწაფენი, რომელთაც გაუტარებიათ იქ ერთი წელიწადი და რიგიანათ არიან მომზადებული სამხედრო სამსახურისთვის; ისინი გაგზავნეს მეცის სამხედრო შკოლაში, რომ პრაქტიკულათ გაემზადონ სააფიცროთ. პოლიტეხნიკურს შკოლაში მისაღები მოწაფების რიცხვი ერთი ორათ აქციეს; იგივე განკარგულება მოახდინეს იმ მოწაფეების შესახებ, რომელნიც მომპელიეში და სტრასბურგში მედიკურ ფაკულტეტზე სწავლობენ. ვისაც ჰსურს, ყველას სამხედრო სამსახურში იღებენ ექიმებათ და ფარმაცევტებათ.

სამხედრო სამზადისების ყიდვა იტალიაში. 18 აგვისტოდამ ჯვრის გაზეთში სწერენ: იტალიის გაზეთები ამას წინეთ გვაცნობებდნენ, რომ იტალიაში ყიდულობენო სამხედრო სამზადისებს და ხორაგს ფრანციის მმართებლობის განკარგულებით. ეს ამბავი მართლდება იმ წიგნით, რომელიც გაუგზავნა ბერლინის სავაჭრო სახლს ვენეციის სავაჭრო სახლმა. იტალიის სხვა და სხვა პორტებიდამ გამოაქვთ აღურებელი თივა, შვრია და ხორბალი. მესინიდამ გააქვთ ფრანციაში ძალიან ბევრი გოგირდი. ამბობენ, რომ ფრანციის მმართებლობამ ვენგრიაში მრავალი ცხენები იყიდაო; ნამდვილათ მხოლოდ ეს ვიცით, რომ ამ უკანასკნელს დროს, მთელი ექვსი კვირა გადაჰყავთ ხოლმე ორასი, სამასი ცხენი კვირაში ორჯელ იმ რკინის გზით, რომელიც მიდის ტრიესტს.

**იტალია.** გარიბალდის მდგომარეობა. — ხოლერა იტალიაში. ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან 19 აგვისტოს: „აქ ჯერ კიდევ ყველანი ძალიან გაერთვიან იმ აზრსა, რომ გარიბალდი აპირებსო რომზე გალაშქრებასა. თავიანთს თავს ეკითხებიან, ნუ თუ ახლანდელი მღელვარებაც უწინდულათ ჩაიშლებაო, თუ იქნება რითიმე გათავდესო. სიენასა და ორვიეტოს შუა რომ წყლებია, გარიბალდი ამ ჟამად იქ იმყოფებაო, ვითომც საექიმოთ, მაგრამ გულში კი სხვა აზრი აქვს: უნდა, რომ იყოს ახლოს იმ ადგილზე, სადაც უნდათ მოქმედების დაწყება. ზომიერი კაცები ყველანი წინაამდეგნი არიან ამ ლაშქრობისა; ის ძალიან საშიშოა და სარგებლობა გამოვა, თუ არა იქიდგან, ეს კი ღმერთმა იცის. თვითონ რომშიაც ძალიან არა ჰსურთ რევოლუცია. თუმცა გარიბალდი არსით არ ჰხედავს თავის საქმეზე თანაგრძნობასა; მაგრამ, როგორც სჩანს, ის კიდევ არ იშლის საქმის დაწყებას. ცხადია, რომ გარიბალდის ფული აქვს, რადგან დღეში ორ-ორ ფრანკს აძლევს თავის ხლებულებსა, მაგრამ იმდენი კი არააქვს, რომ სამყოფი იყოს იმის საქმისთვის. ამ გვარი მდგომარეობა დიდ ხანს მაინც ვერ გაგრძელდება. გარიბალდიმ ან უნდა ითავოს თავისი განზრახვა და შეუდგეს საქმეს, ან სულ თავი უნდა დაანებოს თავის განზრახვის ასრულებასა, რომ იმისგან აღელვებული ხალხი მალე დამშვიდდეს.

---

### შეუსრულებელი სურათი.

I.

დიდი საქმე არ არის კონკურენცია! (შემცილებლობა.) ამ გვარი კონკურენცია რომ არაყოფილიყო, ქვეყნიერათა და კაცობრიობა უამ კონკურენციოთ ცაჩენილიყო — იმისი საქმე უთუოთ ცუდათ იქნებოდა. ამას თვით „ცისკარი“ ვეიმტკიცებს თავის გცევითა. მინამ არ გაუჩნდება კონკურენტი, სძინავს ხოლმე ყურზედა, თითქო რაც საქმე ამას უკისრია, იმისი შესრულება ამისი ვალი არ იყოსო. აგერ რაც ხანია მე „ცისკარს“ ვკითხულობ და ის თავ შედებული არ მინახავს, მინამ კონკურენტი არ გასჩენია. დაროდესაც კი გაიგებს, რომ კონკურენტი გამიჩნდაო, მაშინ, ღვთის წყალობა გაქვს, ის შეუდგება ხოლმე ფაცი-ფუცსა! ვის არ ახსოვს ის წელიწადი, როდესაც გამოეკიდა განცხადება, რომ უნდა ახალი ჟურნალი, „საქართველოს მოამბე“ გამოვიდესო! შეუდგა შენს „ცისკარს“ თავში ცემა და ვინ გინდა თავის თანამშრომელათ და რედაქტორათ არ გამოაცხადა! ერთის მაგიერათ, — რომ ამაშიაც არ დაუვარდე „მოამბესაო“, — იმან ოთხი რედაქტორი გამოაცხადა და ნაწილები გაუნაწილა: გრიგოლ ორბელიანს ლექსები, დიმიტრი ბაქრაძეს ისტორიული ნაწილი, არდაზიანს ბელეტრისტიკული ნაწილი, ბერძენოვს კიდევ არ ვიცი რაცალა ნაწილი; — და ამათი ნაშრომი თითო ოროლა კალმის მოსმის მეტი ჩვენ არა გვინახავს რა; თუმცა რაღაცა ღვთის მადლით, „ცისკარი“ ერთს ორს თვეს ცოტა არ იყო წელში გაიმართა, მაგრამ ამ „ცისკრის“ გამბედაობამ დიდს ხანს არ გასტანა. მოკლეს ხანებში, არ ვიცით ინსტიკტით იგრძნა იმანა, თუ სხვა რამე სასწაულით გაიგო, რომ მერმის კონკურენტი აღარ მეყოლებაო, თუ როგორ იყო იმისი საქმე, იმან თავისებურათ გაიქნია ხელი, შემოსძახა ძილის პირები და მიეცა ტკბილს ბურანს კნეინა ბარბარე ჯორჯაძის დრამებისა და კომედიებისა და რჩეულოვის ორიგინალურის და თარგმანი რომანების ხმებზედ. მოისპო „საქართველოს მოამბე“ და მიმკნავდა თავისებურათ „ცისკარიცა“; ბოლოს იქამდინ მიაღწია ამ ჟურნალმა, რომ აუშვა სიმძოვრის სუნი და ყველას ეგონა: ან ეხლა დალევს სულსა ან ეხლაო; მაგრამ აკი გატყვრა საიდამღაცა გაზეთი „დროება“, (ეტყობა, „ცისკრის“ გაუგებრივ: რომ „ცისკარი“ მხოლოთ მეორე წელიწადს შეუდგა თავდარიგსა). აქ შეუდგა კიდევ „ცისკარს“ ფაცა ფუცი და 1863 წელივით ახლაც „ცისკარში“ გამოვიდა ისევ მრავალ გვაროვანი ფურცელაძე, თავისის მრავალ სტატიებით, (თარგმანი გინდა ის არის, მოთხრობა — ის არის, პუბლიცისტიკური სტატია — კიდევ ისა), მხოლოთ გვარს აღარ იცვლის ჯერობითა. ვნახოთ ახლა, როგორ ინამუსებს „ცისკარი“: გაიტანს ბოლომდინ თავსა, თუ პატარას ხანს უკან ისევ შემოსძახებს თავის ნანასა!

ჩვენ არ შევდივართ ახლანდელი „ცისკრის“ განხილვაში და არცა ვკისრულობთ ჯერობით ამასა, მაგრამ არ შეგვიძლიან არ განუცხადოთ ჩვენი თანაგრძნობა ნეკრასოვის ლექსის „ფიქრები საპარადო მისავალთან“ გადამთარგმნისთვის და ვისაც არ წაუკითხავს ან რუსულათ, ან ქართულათ, ურჩევთ წაიკითხონ ეს ჩასაფიქრებელი და სამწუხარო საჩივრიანი ლექსი, რომელშიაც არის წარმოთქმული ნაღველი საუკუნოებით დასჯილისა და ცუდის მდგომარეობისაგან გაუქმებულის კაცისა. ეს ლექსი და სხვა ნეკრასოვის ლექსები ღირსეულათაც დააფასა ყოველმა რუსმა, რომელსაც კი ნამდვილი და მოსაზრული სიყვარული აქვს თავის მამულისა. რუსების მელექსეებში თითქმის პირველი ნეკრასოვი იყო, რომელმაც მიაპყრა გონება თავის აღმზრდელ მასაზრდოებელს დაჩაგრულს ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების შესწავლასა, დაიწყო ლექსებში წარმოთქმა ხალხის გრძნობისა, იმის მდგომარეობისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვითარებაებისა. პირველი თითქმის იმან დაიწყო ლექსებში სასარგებლო აზრების გაყვანა და დაიწყო ცდა, რომ ლექსები არა ყოფილიყო ცარიელი ლ ე ქ ს ე ბ ი — უაზრო და უსაგნო; როგორც მანამდინა სწერდნენ ხოლმე: იმან თითქმის ყოველს თავისს ლექსს ჩაუდგა სული, სახავდა ამ ლექსებში სხვა და სხვა სურათებსა, სხვა და სხვა დარდსა და ვარამს დაჩაგრულებისას და ცდილობდა ლექსების ისე ცხოვლათ დაწერასა და იმათის აზრების ისე ცხოვლათ გამოსახვასა, რომ მოეყვანა მკითხველი გრძნობაზედ და ჩაეფიქრებინა ის ამ ლექსებში გამოყვანილს აზრზედ.

ამაზედ კიდევ ადრე გრიბოედოვმა და გოგოლმა იწყეს პროზათ გამოსახვა საზოგადო მდგომარეობისა. ყმაწვილმა თაობამ მაშინვე ცხოვლათ იგრძნო სარგებლობა ამ გვარის წერისა და, თითქმის, ყოველმა ახალმა მწერალმა იწყო ბაძვა ამ ორის მწერლისა. ბოლოს მარტო ცარიელი სურათების სახვასაც არ დასჯერდნენ და დაუწყეს ამ გვარს თხზულებაებში სხვა და სხვა სასარგებლო აზრების ჩასახვაცა, რომელნიც უნდა წარმომდგარ იყვნენ გამოსახულის მდგომარეობიდამ და რომლითაც უნდა მოჰკლებოდა ამ ყოფასა. ამ გვარმა წერამ ჩაითრია თვით ისინიცა, რომელნიც მკვიდრათ და შეურყევლათ ადგნენ იმ აზრსა, რომ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა უ ნ დ ა ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ო დ ე ს ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს ა ო და არა ცხოვრებასა, — ესე იგი ხელოვნებას არ უნდა ჰქონდეს არაფითარი სასარგებლო სახმარისი აზრი: იმითი ხოლოთ უნდა სტკბებოდნენ და შეექცეოდნენო. ასე რომ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა ამ ზემოთ მოყვანილს სასარგებლო გზასა და ნამეტნავათ დაწინაურებული ყმაწვილი თაობის წარმომდგენელნი მწერალნი.

რათგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელს რუსის მწერლების შკოლაში, ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესევე სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც. ავათ არის, თუ კარგათა, ჩვენი ყმაწვილი მწერალნი ცდილობენ, რომ იმათი თხზულებაები არ იყვნენ მკითხველის ტყუილათ დროს წამრთმეველნი. მართალია, ჯერ ჩვენ ვერ დავიკვეხებთ, რომ არამც თუ შესანიშნავი რამ გვქონდეს იმ მიმართულებით დაწერილი (*) და სწორეთ რიგიანიც არა არის რა, თითო ოროლა ლექსებს გარდა, რომლებშიაც ჩვენი მწერალნი უფრო იჩენენ ნიჭს, ვიდრემ პროზაში: მაგრამ ჩვენი ყმაწვილი მწერალნი რომ ამ აზრზედ დადგნენ, ესეც დიდი სანუგეშოა.

ესევე მიმართულება აქვს ანტონ ფურცელაძის „სამის თავს გარდასავლებს“, რომლისაც თავი მომქმედი პირი არის სვიმონ ბადლაძე, რომელზედაც ჩვენ ვაპირებთ ლაპარაკსა და რომლის მიზეზითაც შევეხეთ ცოტაოდენათ „ცისკარსა“.

„სამის თავს გარდასავალებმა“ მიგვაღებინა ჩვენ ჩვენი ყურადღება თავისის მოქმედის პირებითა. ამ მოთხრობაში არიან თავი მოქმედი პირნი სამნი: სვიმონ ბადლაძე, მაშა და დავით დესპანიძე. სამნივენი ეკუთვნიან ახალს თაობას, როგორც ხნით, ეგრეთვე თავისის მიმართულებით და თავის მდგომარეობით. თუმცა ამ გვარი პირი, როგორც არის სვიმონ ბადლაძე, უფრო სხვა ხალხის ცხოვრებას ეკუთვნის და ჩვენ ქართველებს გვეუც-

---

(*) ჩვენ რათგან ახლანდელს ლიტერატურაზედ ვლაპარაკობთ, ამის გამო არა ვსთვლით ნიკოლოზ ბარათაშვილის ზოგიერთა ჩინებულს ლექსებსა, რომელთაც თვითონ ბაირონიც არ დაიწუნებდა, რომ თავისი დაწერილი ყოფილიყოს.

— ხოლერა მთელს იტალიაში მოეფინა, მხოლოთ ფლორენციაში ჯერ კიდევ არ არის გაჩენილი; რომის არე-მარეში ხოლერა საშინლად ედება და ბევრს სასოწარკვეთილებაში აგდებს.

**ისპანია.** მღელვარება ისპანიაში.—პრინცი ჰუმბერტი. „Times"-ში სწერენ პარიჟიდგან, 19 აგვისტოს: მტარვალობამ და საშინელმა დაუდევნელობამ მართებლობისამ, განსაკუთრებით უკანასკნელის მმართებლობისამ —აღძრა რევოლიუცია. მერმე ეხლა, როდესაც პირენეას დასამხრეთის მხარეზედ საზოგადოთ რევოლუციური ღელვაა პრიმის რევოლუციის აღძვრი მეცადინეობა ზამთარში მოხდა, და გაუმარჯვებლათ დარჩა; ეს არა თუ იმისთვის, რომ ხალხი ამ საქმეს არა თანაუგრძნობდა, არამედ იმისთვის რომ ბევრმა პირებმა, რომელთაც დიდი მონაწილეობა უნდა მიეღოთ, საქმეს რიგიანათ არ შეუდგნენ, რომელნიმე შეშინდნენ და ზოგთ უკანასკნელს საათში უკან დაისწიეს. სასტიკობამ, რომელიც მას დროს აქეთ ისპანიაში მუშაობს—მრავალი კაცების თოფით დახვრეტამ, ტუსაღებათ გაგზავნამ და სხვა უთვალავმა უსამართლობამ და შევიწროებამ,—ხალხი იმ მდგომარეობაში მიიყვანა, რომ, საიჭვოა, თუ ამ წელიწადმა გაიარა ხალხის აუბუნტებლათ. არც ერთს კაცს, რაც უნდა მოშორებული იყოს პოლიტიკურს აზრებს, არ შეუძლიან იფიქროს, რომ საპყრობილეთ იმას საქმე არ გაუხდება, ის თითქმის უფრო კიდევ რასმე ცუდს სასჯელს უნდა მოელოდეს. შეიძლება წინათ ვსთქვათ, რომ ეხლანდელი რევოლუცია ყველა ისპანიის რევოლუციებზედ, ფერდინანდის მეფობის შემდეგ, საშიშარი იქნება. ეხლა სახეში აქვსთ არამც თუ მარტო მინისტრების ჩამოგდება, არამედ მთელის დინასტიისა, რომელსაც, როგორც სჩანს კიდეც შეიძლებენ.

იზაბელის, მეფობის დღეები დათვლილია.

შეთანხმობა, რომელიც ამ საქმის შესახებ ლიბერალებს შუა არსებობდა ახალმა დევნამ მოსპო. ეხლა აღარ დაიძახებენ: „დაკარგეთ მინისტრები, ღმერთმან კოროლევას გაუმარჯოს! ამის მაგივრათ ეხლა იტყვიან: „მოგვშორდნენ ყველანი!" უმეტესათ დაწეწილი საქმე ეხლა ეს არის, რომ არიციან იზაბელის მემკვიდრეთ ვინ იყოს. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ რევოლიუციის წინა მძღომლებს, რომელთაც მთავრობის დამხობა იკისრეს, არავინა ჰყავნდეთ ისრეთი, რომელმაც დამხობილი მთავრობის ადგილი დაიჭიროს. რომ ეხლანდელი კოროლევას ტახტი სამკვიდრო აღარ არის, ამას არავინ იჭვობს, ვინც კი ეხლანდელი ისპანიის მდგომარეობა იცის. ამას ის შემთხვევაც უნდა მივაწეროთ, რომ ძნელია რიგიანი მეულლე უშოვნონ კოროლევას უფროსს ქალს, რომელიც დანიშნულიც არის. მართალია, ამბობენ, რომ იმაში ცოტაა კეთილი თვისებაები, მაგრამ ერთი ხალხში დიდი გავლენის მქონე პირი გულს მოდგინეთ ცდილობდა ამ ქალისათვის კარგი საქრმო ეშოვნა. როდესაც შეიტყეს, რომ პრინცი ჰუმბერტი ცოლს ეძებსო, იმედი მიეცათ იტალიის პრინცი თანახმა გაეხადნათ ისპანიის კოროლევას ქალთან ქორწინებაზედ, შეეცადნენ, მაგრამ ამაოთ დარჩა იმათი მეცადინეობა. პრინცესსები, რომელნიც ყველაფერში იმისი საფერისნი იყვნენ—ცოლათაც და მომავალ იტალიის კოროლევათაც—ბევრნი არ იპოვებიან. ხოლო ერც-გერცოგი ალბრეხტის მშვენიერის ქალის სიკვდილმა უფრო შემოკლა უიმისოთაც შემოკლებული რიცხვი ჰუმბრეტის საცოლო ქალებისა. ისპანიის კოროლევას უფროსს ქალზედ ჯვარის დაწერას ვერაფერი ხმა ექმნებოდა იტალიაში, რადგანაც ბურბონების გვარი ტალიელებს არ უყვართ და მოუთმენლათ ელიან ამ გვარის უკანასკნელი შტოც მოისპოს.

მღელვარება ისპანიაში. პერპინიანიდგან ტელეგრამმით იწერებიან 19 აგვისტოს: სხვა და სხვა ადგილს კატალონიაში გამოჩნდნენ შეიარაღებული კაცები. ბარცელონში ძალიან ცხადდება ხალხის უკმაყოფილება მთავრობაზე. განდგომილები ჰყვირიან „თავისუფლება" გვინდაო. მგზავრობა რკინის გზებზე შესწყდა და აღარც ტელეგრაფის ძაფები მოქმედებენ. გენერალ-კაპიტანმა გაგზავნა ჯარები განდგომილების მდევრათ. ამბობენ, რომ განდგომილების თავ-კაცებათ არიანო ძალიან გამოჩენილი და ჭკუიანი წინამძღომლები.

მადრიდიდგან 21 აგვისტოს იწერებიან: „17 აგვისტოს პირინეის მთით გავიდნენ ისპანიაში სხვა ინსურგენტებით (განდგომილებით) გენერლები პიერადი, მორიონესი და კონტრერასი, რომელიც კატალონიაში მივიდა. იქ სხვა გენერლებიც გაუდგა მმართებლობას. ისინი ჰყვირიან ამ სიტყვებსა: „ღმერთმა გაუმარჯოს პრიმსა." ინსურგენტები ცუდათ იყვნენ აღჭურვილნი და მმართებლობის ჯარმა რომ შეუტევა, ისინი ვერ გამაგრდნენ. ინსურგენტები ექვსასი კაცის მეტი არა ყოფილა. გუშინ მორიონესი და კონტრერასი რამოდენჯერმე დაამარცხეს. მორიონესი თავის ავხანაგებით ფრანციაში გაიქცა. თვითონ ხალხი ეხლა აღარ არის მმართებლობის წინააღმდეგი.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ზალცბურგი**, 10 (22) აგვისტოს. იმპერატორმა ნაპოლეონმა მიიღო აუდიენციაში რეიხსტაგის დეპუტატი შინდლერი და ჰქონდა იმასთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ავსტრიის საქმეებზედ.

— გვარწმუნებენ, რომ ზალცბურგში მოლაპარაკება ავსტრიის და ფრანციის შორის გათავდა ყოველ მხრივ დაკმაყოფილებულის თანხმობით. ფიქრობენ, რომ ეს თანხმობა ნამდვილათ მშვიდობიანობის ინტერესს გზას წაუმართავსო.

— 11 (23) აგვისტოს. დღეს, რვა საათზედ დილით, ორივე იმპერატორები თავისის მეუღლებით მშვენივრათ მორთულს რკინის გზის სტანციაში მივიდნენ; თან მისდევდნენ ელჩები კნიაზი მეტერნიხი, გერცოგი გრამმონი და მინისტრები: ბარონ ბეისტი, გრაფი ანდრასსი, გრაფი ტააფე და გრაფი ფესტეტიჩი. ფრანციის იმპერატორის და იმპერატრიცის გამოსალმება ავსტრიის იმპერატორთან და იმპერატრიცასთან ისრეთივე გულითადი იყო, როგორც მისვლაზედ ნახვის დროს. ფრანციის იმპერატორი და იმისი მეუღლე დღეს სტრასბურგში მივლენ, შემდგომ პარიჟის და ლილის გზით ბიარიცში მივლენ, სადაც ისინი დიდხან დარჩებიან.

ჯვარის გაზეთში სწერენ: ზალცბურგში მორიგების აზრი ის არის, რომ დასამხრეთი გერმანიის კავშირი დაარსდეს, სადაც ავსტრიაც მონაწილე იქნება. ამას გარდა, სჩანს, რომ ავსტრიის და ფრანციის შორის მორიგებას ეს განზრახვა აქვს, რომ შლეზვიგის საქმე მოიხმარონ პრუსიის წინააღმდეგ იარაღათ.

**დრეზდენი**, 11 (23) აგვისტოს. დრეზდენის ოფფიციალურს ჟურნალში სწერენ დღეს, რომ ავსტრიის და ფრანციის მორიგება არავისთვის საშიში არ არის. თვითოეულს სახელმწიფოს ეძლევა ნება სურვილისა მებრ შეერთდეს იმათთან. მხოლოთ, თუ ამ მორიგების წინააღმდეგ გადაწყვეტილობას შეუდგებიან, მაშინ შეიძლება მოხდეს მოულოდნელი ამბები.

**ბერლინი**, 15 (27) აგვისტოს. დღეს ჯვარის გაზეთში სწერენ: თუ ავსტრია და ფრანციას ერთმანეთთან მოლაპარაკებით შეთანახმდა ევროპის საქმეების გადასაწყვეტათ, რუსეთი, ანგლია და პრუსიაც არ გაატარებენ უქმად დროებას. თუ სახელმწიფოებმა ისევ და-

---

ხოვება, მაგრამ ამ პირზედ ლაპარაკი მაინცა ღირს და ამის გამო ჩვენ გვინდა გავაცნოთ ეს ჩვენს საზოგადოებას. (*)

სვიმონ ბადლაძე, უფ. ფურცელაძის მოთხრობაში, თქვენ მაშინვე გეუცხოვებათ და იტყვით: თუმცა ამ გვარი პირი ჩვენში არც შეიძლება, იყოს მაგრამ ჯერ კი ჩვენში ამგვარს პირს არა შევხვედრივართო; და, როგორცა ვგონებ ეს ფიქრი ჭეშმარიტიც არის. არც ჩვენ ვეკუთვნით ძველს თაობასა და თუმცა მოკლეთ არა გვქონია დაწინაურებულს ყმაწვილებთან კავშირი, მაგრამ იმდენათ ვიცნობთ, რომ ამ გვარი პირი, როგორიც არის სვიმონ, გაგვერჩია სხვებში. ამ გვარი პირი არც დაემალება იმ კაცის გონებასა, რომელსაც ცოტაც არის ესურვება თავისი ქვეყანა და საზოგადოება. საზოგადოებამ, საზოგადოების საჭიროებამ, მდგომარეობამ და ლტოლვილებამ უნდა დაჰბადოს ყოველი ბადლაძის გვარი მომქმედი პირი. მაგრამ უნდა კი გავტყდეთ ჩვენ შინაურობაში, რომ ჩვენი საზოგადოება იმ გვარს არას წარმოგვიდგენს, რომ ჯერობით სვიმონისთანა პირების მოცემა იმას შეეძლოს, თუმცა ამასაც ვერ ვიტყვით, რომ სვიმონის აზრი, ლტოლვილება და სურვილი არა ტრიალებდეს თითო ოროლა ყმაწვილებში (ჩვენთვის კი ვსთქვათ: მინამ ჯიბეში გროში გაუჩნდებოდეთ, ან კარგს თბილს ალაგს გაიკრავდნენ) და ესეც არ არის ნაყოფი ჩვენის საზოგადოებისა და არის მობერილი დასავლეთიდამ. აუცილებელიც არის, რომ თითო ოროლა სასარგებლო აზრები არ დატრიალებულიყო ჩვენს გაზრდილს ყმაწვილობაში. რაკი ყმაწვილი კაცი გაიგონებს,—თვით ყმაწვილის ბუნება ისეთი კეთილია,—კარგს სწავლასა, უეჭველია შიჰბაძავს. ჩვენს ყმაწვილს კაცებს ესმოდათ სჯა და აზრები საუკეთესო ევროპის მოაზრეებისა, ჰხედავდნენ დაწინაურებული საზოგადოების ცხარე ლტოლვილებასა, და ნება იყო, თუ ძალა, ამათაც, როგორც ყმაწვილი ცხოველი ბუნების პატრონთ, წარიზიდავდა მცირეს შემთხვევაში მაინც არის. მაგრამ მტკიცეთ ამ აზრების გაყოლა, ამაზედ თავის დადება ჩვენი ყმაწვილებისაგან თითქმის რომ შეუძლებელია, რათგან თითონ საზოგადოების აზრი და ლტოლვილება კი არა ზრდის ამათ ასრე, რომ ეს აზრები იმათ ძვალსა და რბილში გაუჯდეთ, ამათ ეს აზრები, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ეძლევათ დასავლეთიდამ იმ დროს, როდესაცა ესენი კარგა გამაგრებულნი არიან სრულებით სხვა წინააღმდეგს აზრებში და ამათ დიდი ბრძოლა უნდათ, რომ ის ძველი აზრები საძირკვლიანათ აღმოჰხფხვრან თავისის ბუნებიდამ და ამათს სანაცვლოთ დაამკვიდრონ მტკიცეთ ახალი აზრები, ან უნდა ძალიან ძლიერი ხასიათისა და მხურვალე გულის პატრონი იყვეს და ამასთან თვით საზოგადოებაც უნდა ამას, მცირეც არის, გზას უხსნიდეს. ამის გამო მე ვგონებ, რომ სვიმონობა ჩვენში ჯერ შეუძლებელი იყვეს. ამ ჩვენს აზრს თვით ავტორი „სამის თავს გარდასავალებისა" ამართლებს იმითი, რომ ის გვიჩვენებს სვიმონში აზრებისა და ლტოლვილების სიმტკიცესა, ხასიათის მოუდრეკელობას, დაუცხრომელს და აწონილს მოქმედებას, წინათვე გონივრულათ მოსაზრულს გზასა; მაგრამ თვითონაც კი ველარა ჰხედავს ბოლოს (ან ველარ ახერხებს) გარკვევითა და გამოკვლევით იმ გზასა, რომელზედაც ბოლოს იმისმა მოქმედმა პირმა (სვიმონ ბადლაძემ) უნდა იაროს, უნდა იმოქმედოს, გამოიჩინოს იმოდენა სამზადისი თავისი ჭკუისა და ზნის ძლიერება და მოიყვანოს თავისი დაწყობილება ასრულებაში.

ავტორს, როგორც ეტყობა, თვითონაც დაუტყვია თავის თავისთვის, რომ ძნელი არის ამ დროებაში ამ გვარის პირისა გამორკვეულს გზაზედ გამოყვანა და დაყენება, და თუ გამოიყვანს, ის უნდა ჩასვას იმისთანა ვიწრო რამკაში, რომელშიაც ამისთანა ძლიერი კაცი ვერც მოთავსდება და არც გამოდგება. რომ ამ გვარს მდგომარეობაში არ ჩაეგდო თავისი თავი და თავისი გმირიცა, ავტორი ულებს ასე უდროვოთ ბადლაძეს ბოლოსა.

რომ სვიმონ არ არის შვილი ჩვენის საზოგადოების აზრისა, დაწყობილებისა და დაწესებისა ეს იმითაც მტკიცდება, რომ „სამის თავსგარდასავალებში" სვიმონის მოქმედებასა, ხასიათსა და დაწყობილებაში და იმ საზოგადოებაში, სადაც იმან უნდა იმოქმედოს, ისეთი მიუკარებლობა და კონტრასტია, რომ ვერსად სვიმონი აქ ვერა ჰპოვობს თანაზიარს სულსა და ყველგან, სადაც კი ჰხედავენ და გრძნობენ ამის აზრსა და მოქმედებასა, საშინლათ ეწინააღმდეგებიან. ჯერ სვიმონს არ გამოუჩენია თავისი თავი, არ დაუწყვია თავისუფლათ მოქმედება და არ გამოსულა ასპარეზზედ, რომ ამაზედ უსიამოვნობა და კილვა ისმის ყოველ მხრივა, რათგან ის არ მისდევს იმ კვალსა, რომელიც გატკეპნილია და დათესილია ქვეყნის ფეხისაგანა. პირველსავე შემთხვევაში, როდესაც სვიმონ ცხადათ გამოდის საზოგადო აზრის მონებიდამ და ირთავს ცოლათ თავის ამორჩეულს ქალსა, რომელიც საზოგადოების აზრით არ იყო შესაფერი ამისთანა კაცის შვილისა, როგორც სვიმონ, საზოგადოება ისეთ ნაირათ გადაეკიდება იმასა, რომ შიმშილისაგან კინაღამ სული ამოერთმევა, და იმოდენა საზოგადოებაში არა ჩნდება იმისთანა კაცი, რომელიც ჩაჰფიქრებოდა ამასა, რომ ვის რა სჯის: ვისაც ვინ უნდა შეირთოს, თუ კი ამ გვარი ქორწინება არავის მავნებელი და საზიანო არ არის!.. როდესაც, რომ ქართველთ საზოგადოება ამას ასრე უწყალოთა სდევნის, არ იცის ამისი ფასი და იმას თავის მეთვისეთ ვერა-ვინა სცნობს, მაშინ უცხო ტომის კაცი ვლადისლავ ვლადისლავიჩი, რომელიც არის გამოსული იმ ხალხიდამ, რომელიც დიდი ხანია ცდილობს ყოვლის ღონის ძიებით

(*) „სამის თავგარდასავლები" იმისთანა მოთხრობაა, რომ, ჩვენის აზრით, რიგიანი კრიტიკის ღირსი არ არის. უფ. ანტონ ფურცელაძეს ამ მოთხრობაში ასეთი გვამები გამოუხატავს, რომ იმათ გვარი არამცთუ ჩვენს საზოგადოებაში, არსად არ უნდა მოიძებნებოდეს.

მწერალს შეუძლიან გამოიყვანოს ხოლმე თავის თხზულებაში ან იმისთანა გვამი, რომლის მგზავსიც ბევრი იპოება საზოგადოებაში, ან იმისთანა გვამი, რომელიც ამ ჟამად სამაგალითოა საზოგადოესისთვის; და თუ ახლა არა, შემდეგს უფრო გამჯობინებულს ცხოვრებაში მაინც შესაძლებელია ამ გვარი პირების არსებობა.

უფ. ფურცელაძეს რომ პირები გამოუხატავს თავის მოთხრობაში, იმისთანა პირები ცრუ-წარმოდგენით თუ გამოიხატება, თორემ მართლად კი ცას ქვეშეთში არ მოიძებნება. სვიმონ ბადლაძის ხასიათები და თვისებანი სულ ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ცოცხალი კაცი რომ ასე ერთი ერთმანეთის წინააღმდეგის თვისებებისა იყოს, არ მოხერხდება. სვიმონ ბადლაძე არ არის ხელოვნურის ნიჭით სულ-ჩაბერილი. ეს გვამი სხვა და სხვა ხასიათებისგან ისეა შეკერილი, როგორც ნაჭრის საბანი, სადაც წითელი ნაჭერი თეთრს ნაჭერზეა მიკერებული და თეთრი შავს ნაჭერზე. ჩვენის აზრით სტატიის ავტორი ძალიან სცდება, თუ ჰგონია, რომ სვიმონ ბადლაძე ნამდვილი ხასიათი იყოს და იმისთანა ხასიათის პოვნაც შესაძლებელი იყოს. მე არ მგონია, რომ თვითონ მოთხრობასაც „სამის თავ-გარდასავლებსა" რამე ლიტერატურული ღირსება ჰქონდეს. ამისთვის ამ მოთხრობაზე ბევრი ლაპარაკი არც კი ღირს გაზეთში. ზემოთ დაბეჭდილს სტატიას უფრო იმისთვის მივეცით ალაგი ჩვენს გაზეთში, რომ იმაში საზოგადოთ ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და კარგი შიმართულებისაც არის. რედაქტ.

უნდობლათ დაუწყეს ჭვრეტა ერთმანერთსა, ამაში დამნაშავე გახდება ფრანცია, რომელიც საიდუმლოთ მოელაპარაკა ავსტრიის იმპერატორსა და ამით იმან გააძლიერა საზოგადო ალქურვა.

## გორის უეზდიდამ.

### წიგნი მესამე.

წინათა გწერდით, რომ დღეობაში მივეშურები მეთქი. მ.ს აქეთ მე მოვიარე ორი დღეობა.

ჩვენი დღეობები არასფერს სასარგებლო საქმეს არას წარმოგვიდგენენ, თუ არ დიდ ზარალსა. დღეობების აღწერა საჭირო არ არის, რადგან ჩვენში ყველას უნახავს და ყველას მიუღია მონაწილეობა აქ ყოფნითა და ამითი ტყუილათ საქმის მოცდენითა: ერთი და იგივე ყოველგან სიკვდილის პირამდინ ლოთობა, ჩხუბი, უწესოება, ლამე გარეთ გდებისაგან გაციება და ბოლოს ავათმყოფობა. ერთი სასარგებლო მხარე აქვს ჩვენს დღეობებს ისა, რომ აჭიდებენ ხალხსა და აჯირითებენ ცხენებსა. ვისაც არ ესმის მნიშვნელობა ჭიდაობისა და ჯირითისა ან ჩვენებურის დოლისა, დასცინიან და მეტადრე ჭიდაობასა; მაგრამ, ვინც კი კარგათ ჩააკვირდება საქმესა, ესენი ჩვენთვის დიდი საჭირონი არიან ნეტავი ღმერთმა ჰქნას, რომ ამ დღეობებშია ქალაქივით კრივებიც იმართებოდეს! (?) ამ სამსვე მოქმედებებიდამ: ჭიდაობიდამ, ცხენების თამაშობებიდამ და კრივიდამ, მონაწილენი ამ საქმეში მაგრდებიან და განიმტკიცებიან როგორც გულითა, ეგრეთვე სხეულითა. სადაც გინდა ნახეთ, რომ მოჯირითე მოჭიდავე და მოკრივე კაცები ათასის წილითა სჯობიან გულითაცა და ბიჭობითაც სხვებსა. ამაზედაც რომ ხელი აილოს ჩვენმა ხალხმა სულ მოჩოლფურტდება და მოეშვება სულითა და ხორცითა. ამის გამო სასურველია, რომ ესე ყველა გავრცელდეს ამ დღეობებში, ეს არის, რომ ჩვენში აღარაფრის თაოსნები აღარ არიან, თორემ ეს ადვილი მოსაგვარებელი იქნებოდა. დავიჯერო არ შეეძლო ჩვენ საზოგადოებას დაედო თითო დღეებისათვის რამდენიმე ნივთი, რომ მარჯვე მსროლელებს მისცემოდათ პრიზათა! მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი დაიწყებდა ისევ თოფის ხმარებასა და თოფი აღარ ამოიკვეთებოდა ჩვენში, და იქნება, ჭიდაობისა არ იყვეს, ჩვენ თოფის სროლაში აღარავინა გვჯობნებოდა. ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებათ არის ნაქცევი თითო ისეთს მოჭიდავეს ნახავთ, რომ სულ საოცრებიდამ გამოგიყვანთ. მე ამ დღეობებში ვნახე სხვათა შორის ერთი თვრამეტ—ცხრამეტი წლის ბიჭი მოჭიდავე. არ შეგიძლიან წარმოიდგინოთ იმისი სისწრაფე ჭიდაობაში. რამდენ ნაირი ხერხი და ოსტატობა არა აქვს გამზადებული თავის წინაალმდეგის წასაქცევათა. რამდენჯერ დაიპყრეს ის თავისმა წინაალმდეგებმა ხელში და ყველას გვეგონა: ეს არის წააქციესო, და ის გველივით გამოუძვრებოდა ხოლმე ხელიდამა და ლაჯებიდამა; და რამდენიც კი წააქცია ამ ყმაწვილმა ბიჭმა, იმდენი სულ ყირამალა გადაატარა. მარტო ეს ბიჭი არ არის ამისთანა მოჭიდავე. ამისთანა და კიდევ უკეთესებიც ბევრნი არიან. ერთის სიტყვით, ვისაც ხიზანბარელის ჭიდაობა უნახავს, ადვილათ შეუძლიან წარმოიდგინოს, სადამდინ განვითარებულია ჩვენში ჭიდაობა. იმედია, რომ თოფის სროლაც ასე წინ წავიდოდა ჩვენში, თუ დაიდებოდეს ჭიდაობასავით ადათათ ყოველს დღეობაში.

მე ამ ერთ-ერთის დღეობიდამ გამიპატიჟა ერთმა ჩემმა ნათესავმა თავადისშვილმა სადილათა. ჩვენ გვქონდა ერთი ორიოდე ვერსი გასავლელი. აქ გზაზედ წამოვეწიე ერთი სოფლის მამასახლისს. ისეთი სქელი და გასუქებული რამ იყო, რომ ისეთი გასაქებული ვაჭარიც ძვირათ მინახავს. მე მივეც იმას სალამი, იმანაც დიდკაცურათ სამაგიერო გადმიხადა. დავუწყე შკოლაზედ ლაპარაკი.

— შკოლა გამიკეთებია კიდებაც,—მიპასუხა იმანა.

—შეგირდები დადიან თუ არა ჯერა?

— ჯერ არა და მალე* დავაწყებინებ სიარულსა.

— რამდენი კომლი კაცი იქნება შენი სახელოო?

— ჩემი სახელო, მე შენ გითხრა, იქნება ას ორმოცადმინა.

— რამდენი შეგირდის იმედი გაქვს, რომ იაროს?

— ერთი თხუთმეტისა, ან ოცისა.

— ას ორმოც კომლში ოცის მეტი ვერ ივლის?!

— მეტი არ შეიძლება.

— რატომა?

— სუყველას ხომ არ შეუძლიან თავისი შვილები სამსახურში მისცეს: ზოგს მამული აქვს მოსავლელი, ზოგს ღონისძიება არა აქვს, რომ მინამ ჯამაგირს გაუჩენდნენ არჩინოს ქალაქ ალაგას შვილები.

— განა სამსახურისთვისა ზრდით შვილებსა?

— მაშ ნასწავლი კაცი რას ევარგება უსამსახუროთა. მე აგერ ორი შვილი მყავს და როცა გავზდი: ერთი უნდა სამსახურში მივცე, რომ ჩემსავით მუჯღიკი არ გამოვიდეს და მეორეს ვაჭრობა მინდა დავაწყებინო.

ამგვარი აზრი პირველი გაგონება არ იყო ჩემთვისა, მაგრამ მე რომ ეს მამასახლისისაგან მესმოდა, არაფრათ მეჭაშნიკა და ამისგამო დაუწყე მე ხანგრძლივ ამას ამაზედ ბაასი. მაგრამ ეს ისე დარწმუნებითა ლაპარაკობდა, რომ თავის თავს ყოვლად შეუცდომლათა რაცხავდა და ჩემს ლაპარაკზედ დაცინვის ღიმი მოსდიოდა. ბოლოს მოთმინებიდამ გამოსულმა ვკითხე.

— დავიჯერო შენ შემდგომაც ამოგირჩევენ მეთქი მამასახლისათა?

— ეგ მე და შენი საქმე არ არის, ეგ სოფელმა იცის,—მიპასუხა იმან ნაწყენის სახითა.

პირველ შემთხვევაში ბევრი ამისთანა მამასახლისები შეხვედრიათ, მაგრამ ყველგან ამათი უსიამოვნობა ისმის და იმედია, რომ შემდეგში უფრო კიდევ ფთხილათ იქნებიან სოფლები ამათს ამორჩევაში.

მივედით ამ ჩემს ნათესავს თავადისშვილთანა. უკანასკნელი ას ორმოცი მეტი ცხენიანი ქალი და კაცი იყო ამასთან ჩამომხტარი და სამი დღე და ლამე არ გამოღეულა აქ ლხინი: ზურნას არ ჩაუკმენდია ხმა და წარმოიდგინეთ ზურნაზედ ევროპული ტანცების თამაშობა.

ამ სამს დღეს არ გამომიშვეს ჩვენმა სახლის პატრონებმა. მე ეს ლხინი არაფრათ მეჭაშნიკა და დაუწყეს ამაზედ სახლის პატრონს ლაპარაკი, რომელიც არ არის უგუნური კაცი.

— რა ვქნა!—მიპასუხა იმანა:—მე რომ არ მოვიწვიო თითონვე მოვლენ და მოდი და ნუ დაუხვდები. ჭეშმარიტებას გეფიცები, რომ სულ ფულზედ ვიანგარიშო ამ დღეობაში ყოველწელიწადს მექნება ორმოცი თუმანი ხარჯი. მაგრამ რას იზამ!

მე ამაზედ კიდევ უფრო მეცინებოდა, რომ ამ სამს დღეში სულ აპირებდნენ წასვლასა და ისევ კი იქ იყვნენ სტუმრები, თუმცა სახლის პატრონს ისინი არც ერთხელ არ მიუწვევია.

მესამე დღეს საღამოზედ მოგვადგა კარს ერთი მესტვირე. მე მითხრეს, რომ ეს არის მესტვირე ქებაძე. ქებაძეს სახელი კვლავაც გამეგონა, მაგრამ არ გამეგონა ამის ლექსები. მე მაშინვე ვსთხოვე მასპინძელსა, რომ შემოეწვია ისა. ის მაშინვე შემოიპატიჟეს.

იმან, როგორც ჩვეულებაა, ჯერ სახლის-

---

თავის ცხოვრების გაუმჯობესობასა—ეს კაცი მაშინვე პირველსავე გაცნობაზედ იცნობს სვიმონსა, ასწონს ამისი ღირსებასა და ლტოლვილებასა და მაშინვე თავისს ცოლშვილით უმეგობრდება ამასა. შემდგომაცა გაიგებს, რომ სვიმონ იმ გვარის სახლიდამ გამოყვანილს ქალს ირთავს ცოლათა, ის კი არ ეწინაალმდეგება ამ აზრსა, პირიქით მაშინვე თითონაც და თავის სახლობასაც უმეგობრებს ამ ქალსა. ის დარწმუნებულია წინათვე, რომ სვიმონისთანა კაცი არ შეირთავს ერთ უბრალო ბელეშასჴვისმე და არ გაიბლანდავს ამითი სულ ფეხსა. რათგან სვიმონი ირთავს, ის ქალი საიდამაც უნდა იყვეს გამოყვანილი და რაც უნდა ცუდი ბეჭედი ედოს საზოგადოების აზრითა, ის უთუოთ იმისთანა ვინმე იქნება, რომ იქნება ფარდი ამგვარის კაცისა, როგორც სვიმონ ბადლაძე: ის იქნება უეჭველათ დამაკმაყოფილებელი სვიმონისა იქნება თანაშემწე და არა დამშლელი თავის ქმრის მოქმედებისა და დაწყობილებისა. ამაში არცა სტყუვდებიან, როგორც მლადისლავ მლადი-სლავიჩი, ეგრეთვე იმისი ცოლი. მაშაში (სვიმონის საცოლო) ისინი ჰპოვებენ სრულს ღირსეულს საცოლოს და თანაშემწეს სვიმონის ჭკუისა და მოქმედებისათვის.

მართალია ავტორს მოჰყავს იმისთანა ცხოვრება სვიმონისა სიყმაწვილითვე, რომელსაც უნდა გამოეღვიძებინა ამაში ეს ლტოლვილებანი, რომელსაც ებრძვის სვიმონ, მაგრამ, რაც უნდა იყვეს, თუ კაცს ან სწორე ხელის მძლევნელი და მეტადრე გამორკვეულის აზრებით თანამგრძნობელი არა ჰყავს, კაცი, რაც უნდა ძლიერი იყვეს, დაეცემა. თუ დასძლევს დაბრკოლებაებსა და წავა ასრე მტკიცეთ და გარკვევით თავის აღებულს გზაზედ, მაშინ ამ გვარი კაცი უნდა იყვეს გენიოსი. სად არიან ჩვენში ამ გვარი კაცები?!

აქ ცხადათა ვხედავთ, რომ სვიმონ ბადლაძე, გამოყვანილი უფ. ფურცელაძის მოთხრობაში, არ არის შვილი ჩვენის საზოგადოებისა და თუ ვინმე გამოვა ჯერობით ჩვენში ამ გვარი, ის იქნება უკანონო შვილი და აუცილებლათ სვიმონის დღე იმასაც დაადგება...

მაგრამ მაინცა და მაინც სვიმონის შეიწრებულმა მდგომარეობამ არ უნდა შეაშინოს არც ერთი რიგიანი კაცი. ეს ძალიან ხშირია, რომ საქმის დასაწყისში, რომლისაც ხამია საზოგადოება, ეს დღე უნდა დაადგეს პირველს საქმის დამწყებებსა და მთაოსნებსა. ეს თვითონ იმ პირებმაც, რომელნიც ამ საქმეს იწყებენ, უფრო კარგათ იციან. მაგრამ იმათ ყოველთვის ხელმძღვანელ ნუგეშათ ისა აქვთ, რომ ჩვენი თავის მსხვერპლათ შეწირვა საზოგადოების გამოუცდელობისა და უმეცრებისათვის არას დროს ცუდათ არ ჩაივლის და როგორც ამბობს პოეტი:

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება
„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
„და ჩემს შემდგომათ მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
„და შეუპოვრათ მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

სვიმონის გვართ პირთა კარგათ იციან თავისი ბოლო,—როგორც იწინასწარმეტყველა თავისი ბოლო ჩვენმა ბაირონმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა,—და ისინი კიდევაც უფროც მხნევდებიან: ისინი ჰხედავენ თავის თავის დალუპვაში თავის აზრებისა და დაწყობილების შესრულებასა; იმათ კარგათ იციან, რომ იქნება იმათ თავის სიცოცხლით ისე ვერ მოეყვანათ თავის გულის პასუხი აღსრულებაში, როგორც იმითი, რომ ისინი ეწამებიან თავისის მართალის საქმისთვის. ეს კარგათ გამორკვეული და აწონილი აზრი იმათ ამხნევებთ ყოველს შემთხვევაში; ამ აზრით ისინი ნუგეშობენ და კარგათ ბეჯითად იციან, რომ ყინვისაგან გამეშებულნი რაკი ერთი დაინახვენ სინათლის შუქსა, მაშინვე წაეტანებიან ამ სინათლესა და თუ კიდევ შერჩენია ვისმე იმოდენა ღონე, რომ ცოტაც არის კიდევ მოძრაობა აქვს სხეულისა და არ არის მთლათ გაყინული, უეჭველათ თავის თავს დასდებს და ამ სინათლესთან კი მივა გასალხობათა.

თუმცა ჩვენა ვსთქვით, რომ სვიმონ არ არის ჩვენი საზოგადოების შვილი და ჯერობით ძალიან ძნელიც არის გამოსვლა ამ გვარის პირისა ჩვენში; მაგრამ ჩვენ ვგონებთ ავტორს ისე ის არა ჰქონებია მხედველობაში, რომ სვიმონში გამოესახა ჩვენი საზოგადოების აზრი და ლტოლვილება, როგორც ისა, რომ საზოგადოებისთვის გამოესახა ზოგიერთა მაგალითი.

ამ გვარს წერის აზრს მისდევენ მრავალი მწერალნი უგანათლებულესს ქვეყნებშიაცა. როდესაც ჰხედავენ საზოგადოებას რომელსამე საქმეში ყურ მიგდებულსა და უნდა ეს საქმე გამოაღვიძონ ამათში, მაშინ ამ გვარი მწერალნი თავისს თხზულებაში სახავენ იმგვარათ პირთა, რომელთაც ასრულებინებენ ამ საქმესა და ამითი ცდილობენ საზოგადოებაში ამ აზრის ჩათესვასა. ამავე აზრით დასწერა ამ უკანასკნელს დროს ერთმა გამოჩენილმა რუსის მწერალმა ერთი რომანი, რომელიც ეხლა ნეტარებით გადადის ხელიდამ ხელში და მართლა ჩინებულათაც შეასრულა; ამავე აზრს მისდევენ ზოგიერთა სხვა რუსის მწერალნი, რომელთაგანნიც ბევრნი ვერ დაიკვეხებენ არამც თუ კარგათ შესრულებასა და მცირეც არის რიგიანათ შესრულებასაცა. ამ გვარის მწერლისათვის გარდა ნიჭისა არის საჭირო დიდი სწავლა, კარგათ ცოდნა საზოგადოების მდგომარეობისა, იმის საჭიროებაებისა და კაცის გულისა და ზნის განვითარებით ცოდნა.

ფურცელაძეს თავისი ბადლაძე თავისის კუთვნილის ზნით და ხასიათით თუმცა შეკვრითა აქვს გამოსახული, რომ თქვენ თვალწინ გიდგათ ამ გვარი კაცი, მაგრამ იმას არა აქვს სრულათ ბოლომდინ გამოყვანილი თავისი გმირი, როგორც საჭიროა ჩვენთვის, რომ კარგათ გავიცნოთ და ცხადათ დავინახოთ ამ პირების მოქმედება. ის ამისთანა გიგანტს კაცსა, რომელსაც შეუძლიან რასაც საქმეს ხელი მოჰკიდოს, თავალმა დააყენოს, ის ისე უბრალოთ უღებს ბოლოსა. თქვენ როცა პირველათ გაიცნობთ სვიმონსა „სამის თავს გარდასავალებში“, უეჭველათ იმ აზრს აღგებით, რომ ამ კაცის მომრევი არავინ არის და თუ ამას მოერევა რამე, ეს უთუოთ იმისთანა საქმეზედ დასდებს თავსა, რომელიც დიდს ნაყოფს მოუტანს კაცსაო; და ფურცელაძე კი ამას უღებს ბოლოს სწორეთ იმ დროს, როდესაც დრო არის იმის საქმის დაწყებისა. მართალია ესეც კარგია, მაგალითია ამისთანა მტკიცე ხასიათით კაცის გამოსახვა საზოგადოებისათვის, მაგრამ სვიმონისთანა ძლიერი ხასიათის კაცისათვის მარტო ამ წვრილი საქმეების ბრძოლა და აქ თავის გამოჩენა საკმაო არ არის...

რათგან ბადლაძე თავისის დაწყობილებით არა აქვს ფურცელაძეს ბოლომდინ გატანილი და ამისი დაწყებული სურათი არ არის შესრულებული, ამის გამო ჩვენ ვეცდებით განვიხილოთ სვიმონის გვარი კაცების დამოკიდებულება ცხოვრებასთან და საზოგადოებასთან და საზოგადოების მოპყრობა ამათთან. ბევრი ისა, რასაც ჩვენ ვიტყვით, არ შედის მოთხრობის პროგრამაში და ეს კრიტიკის ვალია უჩვენოს მკითხველსა. ჩვენ შეძლებისა და ალაგის გვარათ ვეცდებით ამ ტემის შესრულებასა, თვით ფურცელაძის ნაჩვენებს ფაქტებზედვე დამყარებულნი.

(შემდეგი იქნება).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го сент

პატრონებსა და სტუმრებს დაუწყო ქება. ბოლოს უთხრეს ერთი არსენას ლექსი სთქვიო. მე არსენაზედ ლექსი კვლავაც გამეგონა სხვა და სხვა მესტვირეებისგან და ყველანი სულ სხვა და სხვანაირათ ამბობდნენ, მინდოდა ერთი ამ ნაქები მესტვირისაგანაც გამეგონა. ამანა სთქვა ეს ლექსი. მაგრამ გამაკვირვა მე ამ ლექსმა. მე ვთხოვე, რომ ეთქვა კიდევ სხვა ლექსებიცა. იმანა სთქვა სამიც კიდევ სხვა ლექსი: სოლომან ბუტულაშვილზედ, როსებ ამირაჯიბზედ და იობ მრავალმოწამეზედ.

მე სულ საოცრებიდამ გამოველ ამის ლექსებიდამა. ნურას დროს ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ ამის ლექსებში ნახოთ სხვა და სხვა გასამშვენებელი მომატებაები, თქვენ გაგაოცებთ ამის ლექსებში სინამდვილე ყოველის სურათისა, ყოველის მოქმედებისა, ყოველის მომხდარის ფაქტისა. თქვენ ჰხედავთ აქ მელექსეს, რომელმაც იცის კაცის გული, გულის პასუხი, ბუნება, იმის ლტოლვილება და ერთის სიტყვით კაცი თავისის კარგისა და ცუდის მხარითა. არც ერთს სიყალბეს, ვერც ერთს სიმრუდეს ვერ ჰპოვებთ იმის სიტყვებშია და იმისგნით დასახულს სურათში. იმასა ჰყავს თავისი გმირნი, რომელნიც ამას უყვარს და რომელთაც ეს თანაუგრძნობს, მაგრამ ესენიც ისეთივე კაცები არიან, ისეთივე ნაკლებულება აქვთ, როგორც სხვებსა. ამისი გმირები არიან ვაჟკაცნი, მაგრამ ამათზედ უკეთესებიც კიდევ იპოვებიან. რა სიმარჯვითა სახავს მაგალითათ ის ამ სურათსა, როდესაც ერთი იმერელი აზნაურშვილი ჰკლავს არსენასა. ქებაძეს უყვარს არსენა, მაგრამ, როდესაც შეხვდება ამას ის იმერელი აზნაურშვილი და შეიბრძვიან, თქვენ ცხადათა ჰხედავთ, რომ ის იმერელი კიდევ უკეთესი ვაჟკაცია არსენაზედ და სძლებს ის ამასა. თქვენ აქვე ნახავთ, რა რიგ უყურებს ქებაძე არსენასა და რისათვის უფრო უყვარს იმას არსენა, რომ იმას უყვარდა საწყალი კაცი. ის გისახავთ თქვენ არსენას ხალხის საყვარელ გმირათა და გიჩვენებთ ნამდვილის სანახაობით, თუ როგორა სწუხან გლეხები არსენას სიკვდილზედ, რა რიგათ მოათქმევინებს ის ამათ არსენას სიკვდილსა.

ამასთანავე ქებაძის ლექსებში თქვენ ვერ იპოვით ერთი და იმავე სურათების გამეორებას. ისეთი სიმდიდრე და სიუხვეა სულ ახალ-ახალის მოქმედებისა და სურათებისა ამის ლექსებში და ყოველს მოქმედებასა და სურათში, რომ თუ ცოტაც არის კაცის თვისების ცოდნა გაქვთ, ჰპოვებთ გასაოცებელს ჭეშმარიტებასა.

იმას არც ერთი გმირი თავის ლექსებისა არა ჰყავს გამშვენებული. ის არ აკრავს გარედამ ლაქას თავის გმირებსა. თქვენ იმის გმირებსა ჰხედავთ ისე, როგორც ის არის თავის გუნებაში. მაგალითათ, თქვენ ამის ლექსებში ჰხედავთ როსებს, რომ აქედამ დაქადებული მიდის ალექსანდრე ბატონიშვილის მოსაკლავათა და აქ თავის გამგზავნებსა ჰპირდება, რომ მალე გაიგონებთ იმის სიკვდილის ხმასაო. თქვენ ვეღარას დროს ვერ წარმოიდგენთ, რომ ასე დაქადებული კაცი ან არ შეასრულებს თავის სიტყვასა ან თავს ზედ არ დაადებსო; მაგრამ ბოლოს ნახავთ, რომ ის იცვლება გუნებაზედ, იმის გულსა და სინიდისში გაიღვიძებენ სხვა რაღაცა გრძნობანი და ის სიკვდილის მაგიერათ უმეგობრდება ალექსანდრესა და შეიქნება იმისთვის თანამკვდარი. თქვენ აქ ამ დამეგობრებით ჰხედავთ როსებს მუხანათათა; მაგრამ ეს ქებაძის ბრალი არ არის: ასეა მომეტებული ნაწილი კაცის ბუნება, რომ შინ დაბარებული გარეთ არ გამოდგება, დღეს რაც გუნებაზედ ხარ, ხვალ შენსავე უნებურათ სრულებით შეიცვლები; დ ამხოლოთ იმაზედა სდგას კაცი მტკიცეთა, რაც ერთხელ და ერთხელ ისე შთაბეჭდია გუნებაში, რომ თითქმის ბუნებათა ჰქცევია.

თვით მრავალმოწამე იობში თქვენ ჰხედავთ კაცსა ახირებულის ძრიელის ხასიათით, მაგრამ კაცურის ხასიათით და არა ზეციურის მოთმინებით, თქვენ აქ ჰხედავთ კაცსა, რომელიც ემშვინება მატლსა და დარწმუნებულია, რომ ეს ასე უნდა იყვეს და ამას არა აქვს ნება, რომ მოიშოროს ესენი თავიდამა. ერთის სიტყვით რა მხარე გინდათ, რომ ქებაძემ გამოგისახოთ და თქვენ ამაში ჰპოვოთ რამე სიყალბე ან მომატება. ჩვენში საზოგადოთ აზრია შემდგარი, რომ ჩვენი ხალხი უფრო ცხოველი ოცნებაების მოყვარე იყვეს, რომ ყოველი იმისი თხზულება უნდა წარმოადგენდეს საშინელებასა და საზარელებასა, მოულოდნელს, და მოუფიქრებელს საქმეებსა, რომელიც კაცისთვის შეუძლებელია; მაგრამ რამდენიც მე დავრწმუნდი სხვა და სხვა მესტვირეებისა და მეტადრე ქებაძე მესტვირისაგან, ეს აზრი ტყუილი არის, არც ერთი მესტვირე არ გადადის კაცურს საქმეებსა თავის სიმღერეებში. და ქებაძე ხომ სრულებით ტრიალებს კაცურს სფერაში და ყოველი იმისი ლექსი ამბობს კაცურს საქმესა.

ჩვენნი მწერალნი, რომლებზედაც შევადგინეთ აზრი, რომ ყველა ზვიადური გვიყვარს თხზულებაებში, ვერ გამოსულან თავის დღეში მიმბაძაობიდამ და აქედამ წარმოსდგა, რომ ისინი კაცური საქმეების მაგივრათ გვიწერდნენ სულ რაღაცა დაუჯერებელ ზღაპრულ ამბებსა. მაგრამ ის ჩვენი მწერლებიც კი ამტკიცებენ, რომ ჩვენთვის უფრო ადვილი საწერი კაცური ცხოვრება ყოფილა, ვიდრემ მოგონილი. ჩვენი ვერც ერთი მწერალი ვერ მისულა იმ ოცნების სიცხოველემხდინ, სადამდინაც მიდიოდნენ აღმოსავლეთის მწერალნი. ჩვენი მწერლები თუმცა ცდილობენ დაუჯერებელი ამბების წერასა მაგრამ მაინც ისევ კაცურს საქმეებსა და კაცის ცხოვრებაში ტრიალებენ თავისის თხზულებაებითა.

მე სწორე მოგახსენო, აღარ ვინანე აქ ოთხი ხუთი დღის დაკარგვა, რაკი ქებაძე ვნახე.

მე მინდა დამეწერა იმისი ნათქვამი ლექსები, მაგრამ ღამემ გვისწრა და ქებაძე დილა ადრიან წასულიყო.

ჩემს გუნებაში ვფიქრობდი, ქებაძის ლექსებს რომ ყურს უგდებდი: რა იქნებოდა, მცირეც არის შენი ნიჭი ჩვენ ზოგიერთა მწერლებს გამოჰყოლოდა მეთქი. რა იქნებოდა რომ ცოტაც არის შენი უფ. პერესელიძეს მოსცხებოდა, რომ თავისი დღენი სიცრუით არ დაელამებინა მეთქი! პერესელიძეს, რომელსაც... მაგრამ ღირს კიდევ ის ლაპარაკათა!.. ქებაძესთან, რომ პერესელიძეზედ ვლაპარაკობდეთ, ეგ პერესელიძისთვის დიდი სახელი იქნება.

ა. ფ.

P. S. ამ კორესპონდენციასაც ძალიან საჩქაროთა ვსწერ. მივეშურება ერთს ალაგას, სადაც ორი და სამი სოფელი ჩხუბს აპირებენ რაღაც ხუთიოდე დღის უსარგებლო მიწისათვის.

23 მარიამობისთვეს.

---

### განსჯა.

(მიბაძვა ებრაულისა)

როს მოვა მკვდრეთით აღდგომის
დღე იგი უკანასკნელი,
სულ მთლათ სამყარო აღიძვრის,
ზაისმის მეხის ზრიალი:
ასტეხს ცა ქუხილს, ჭექასა,
დაიწყებს მიწა გრგვინვასა;
ხშირნი პლანეტნი, შეძრულნი
იწყებენ ელვა ტრიალსა;
მოსწყდება მზისა ნათელი,
მთვარე დაჰკარგავს თვისს სხივსა,
ჩამოსცვივიან ვარსკვლავნი,
მისცემენ სამყაროს ცეცხლსა;
აღელდებიან მრთლათ ზღვანი,
იწყებენ ღელვას, დგრიალსა,
მღელვარე ზვირთნი ზღვათანი
ზადემატებიან მთასა;
მთანი და კლდენი აღძრულნი
ერთმანერთს ეჯახებიან,
და ესე საზარებანი
ერთ ხმათა შეზავდებიან:
გრგვინვა, დგრიალი, ზიზინი,
საზაროთ გამოისმიან;—
მეხის ხმას მოსცემს ცის სივრცე
უსამძღრო და ცარიელი
და მთლათ მოედოს სამყაროს
ხმა ესე გასაგმირალი...
ნაღარა მკვდრეთით აღდგომის
ზაისმის ცისა დასთაგან,
გულსა განჰგმირავს ყოველს კაცს,
მოისმის დრტვინვა მკვდართაგან,
და ვინც გცეულან მიწათა,
ან თუ შთანთქმულან მხეცთაგან,
შეიმოსვიან ხორცითა,
როგორც ოდესმე ყოფილან.
მაშინ საშინელს სამსჯავროს
წარსდგეს ყოველი ძრწოლითა
და გოდებითა ჰნანობდეს
თვისთ დანაშაულთ ბოროტთა;
ცოდვილი თავს ვეღარ სცნობდეს,
ჰქონდეს სინანულთ წადილი,
ნუგეშს ვეღარა ჰპოვებდეს,
თმასა იხოკდეს კოდილი:
ცასა შესთხოვდეს სიმშვიდეს,
კაცთ შესტიროდეს შენდობას,
სწყევლიდეს მშობლისა მუცელს
და სტიროდეს თვისსა გაჩენას...
ყოვლ რიგი არეულობა
იყვეს კაცთ შორის ამ დროში,—
ძმა ძმას ვერ სცნობდეს, მოსისხლეს
და მკვლელს ჰხედავდეს; და დასში
დედა ვერ სცნობდეს თვის ძეთა,
მამა და შვილი ერთმანერთს,
სატრფო მიჯნურნი—მიჯნურთა,—
ყველა თვის ყოფას სტიროდეს.
ამ დროს ძე ღვთისა მოსილი
ნათელით ზეგანთ ზენითა,
სიწმინდით გაბრწყინებული,
შემკული უმანკოებითა,
მშვიდათ მოვიდეს სამსჯავროს,
აწესოს წესი კაცთ შორის
და ყოველსავე მოსთხოვოს
რიცხვი მადლის და ბოროტის.
აქ ყოველმავე ცოდვილმა
ცრემლით წარმოსთქვას ყოველი
და მაცხოვარმა სულ გრძელმა
უტევოს მათი ცდომილი...
მაგრა რას იტყვი, მტერო
თვის მშობელ აღმზრდელ მამულის
მართალთა სისხლის დამლევრელო,
ზამდევნო ყოვლის კეთილის!..
შენ გტანჯდეს მართალთა სისხლი,
გწვავდეს სინიდისთ მოთქმანი,
გდევნიდეს მწარეთ სირცხვილი
და მოძმეთ შენთა წყევლანი!...
საბრალოთ შენაძრწუნები
დაჰფარავ შენთა ცოდვათა,—
მაგრამ ძე ღვთისა აღგირაცხს
ყოველთა შენთა საქმეთა.
მაშინ შენ შიშით, სულ მდაბლათ
უწყებ მაცხოვარს ვედრებას,
რომ მოგიტეოს ცოდვანი,
მისცეს ყველა დავიწყებას.
ძე ღვთისა გეტყვის: ცოდვათა
მე ვერ შეგინდობ, მანამდის
არ შეიჯერებ შენთ მსხვერპლთა.
მაშინ ჩემგანაც შეგენდვის...
მაგრამ ყოველ მხრივ წყევლა და
მოგესმის ყოველ მხრივ ძახილი:
„ცეცხლი და ნავთი მაგასა,
„მუდამ და ყველგან ტანჯვანი!..“
ყოველი თითქმის ჰხარობდეს
ნეტარებითის შვებითა,
მხოლოთ შენ ყველგან გდევნიდეს
სისხლი და წყევლა მოძმეთა.

ზურაბ მოენიძე.

1861 წ. მარტს.
იშაქესთა.

---

### სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 67)

3) საინტენდანტოს სამმართველოში კავკასიის სამხედრო ოკრუგში სეკტემბრის 1-სა 1867 წ. პერეტორჟკით მესამე დღეს მოხდება ტორგი მოსამზადებლათ სამას ოცდა ჩვიდმეტი საჟენისა და ერთი არშინის შეშისა იანვრის 1-დამ სეკტემბრის 1-მდის 1868-ს წ. საოკრუგო შტაბის შენობისათვის.

4) ამავე სამმართველოში სეკტემბრის 13-სა ხელ ახლათ მოხდება ტორგი, რომელიც უნდა გათავებულიყო აგვისტოს 23-სა, მოსამზადებლათ ზარდობის მალაზიისათვის სურსათისა: 30,000 ჩეთვერის კრუპისა, 3,000 ჩეთვ. ჰილობისა და 30,000 დანახი.

5) ზაკავკაზიის პრიკაზში დეკემბრის 11-სა მოხდება ტორგი პერეტორჟკით გასასყიდათ დაუსახლებელის მამულისა, კოლლეჟსკის ასსესორის თავადის ლეონიდე ზერმანოზის ძის ბარათაშვილისა, რომელიც მდებარებს ტფილისის უეზდში სოფელს აბელის ახლოს 1854 წ. აღებული პრიკაზის 500 მ. გადუხდელობისათვის.

6) იქვე დეკემბრის 11-სა მოხდება ტორგი პერეტორჟკით გასასყიდათ ნადვორნის სოვეტნიკის იაკობ სვიმონის ძის პავლიაშვილის სახლისა, რომელიც არის ტფილისს 2 ნაწილის 1 კვარტალში, 1854 წ. აღებულის პრიკაზის ვალის 1,800 მანეთის გადაუხდელობისათვის.

7) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით სიღნაღის უეზდის სამსჯავროში 4-ს დეკემბერს მოხდება ტორგი პერეტორჟკით გასასყიდათ მამულებისა ქვემოხსენებულ თელავის უეზდის მებატონეებისა გადუხდელობისთვის პრიკაზიდამ აღებულის ვალისა 1) თავადის დიმიტრი ივანეს ძის ჭავჭავაძესი (გადაცვალებულისა) 1851 წელს 7,500 მანეთისა, რომლის გირაოთაც არის იმისი მამული სოფელს ყვარელში. 2) აზნაურის ალექსანდრე დავითის ძის ზოგნიაშვილისა 1853 წელს 2,400 მანეთსა რომლის გირაოთაც არის იმისი მამული სოფელს ქვემო ხოდაშენს.

9) ზაკავკაზის პრიკაზის განკარგულებით, ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში 4 დეკემბერს 1867 წ. მოხდება ტორგი პერეტორჟკით გასასყიდათ ქუთაისის მცხოვრების ქვრივის ელისაბედ ივანეს ასულის ნიკოლაძის დუქნისა, რომელიც არის 1 ნაწილის 1 საკვარტალოში ქუთაისს, 1866 აღებულის პრიკაზის ვალის 2,000 მანეთის გადაუხდელობისთვის.

11) ზაკავკასიის პრიკაზში 11 დეკემბერს მოხდება ტორგი პერეტორჟკით გასასყიდათ შენობაებისა ქვემოხსენებულ ტფილისში მცხოვრებლებისა გადუხდელობისათვის 15 წლით პრიკაზიდამ აღებულის ვალისა 1) ოჰანეზ ოჰანეზას ძის ალამოვისა 1858 წ. 1,200 მანეთათ დაგირავებული დუქნებისა შენობაებით 3 ნაწილში 1 საკვარტალში, 2) ივანე ნონიას ძის პედელოვის 1861 წ. 800 მანეთათ დაგირავებული სახლისა და დუქნებისა, 4 ნაწილის, 2 საკვარტალოში 3) ივანე ქარიას ძის ნოვოსარტოვის 1862 წ. 1,600 მანეთათ დაგირავებული სახლისა 2 ნაწილში, 1 საკვარტ. 4) მიხეილ და ივანე არლემის ძეთ შერმაზანოვებისა 1863 წ. 800 მანეთათ დაგირავებული სახლებისა. 2 ნაწილში 3 საკვარტალოში 5) სვიმონ მათუზას ძის მათუზოვის, 1864 წ. 2,310 მანეთათ დაგირავებული დუქნებისა ოთახებით 3 ნაწილში, 2 საკვარტ. ტფილისში.

18) ტფილისის გუბერნიის სამმართველოში მომავალი წლის 16 იანვარს გაისყიდება უძრავი მამული, რომელიც ტფილისის მოქალაქეებს მოსეს და სოლომანს აბეტიქას ძეებს პაზაროვებს ეკუთვნის. ეს მამული შესდგება ორ ატაჟიანი ქვის სახლისაგან და 368 კვადრ. საჟენი ცარიელი მიწისაგან, მდებარებს ტფილისის 4 ნაწილში 3 საკვარტალოში № 223 და დაფასებულია 9,000 მან.

19) თელავის და სიღნაღის უეზდის სამსჯავროში მომავლის 4 დეკემბრის 13 მოხდება ტორგი, სადაც გაისყიდება უძრავი მამული თელავის მცხოვრების პეპანა ტურაბოვისა. ეს მამული მდებარეობს თელავის ქალაქში და შესდგება ერთ ატაჟიან ქვის სახლისაგან და ეზოსაგან; დაფასებულია 100 მან.

---

### საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება ვეფხვის ტყაოსანი. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. ფასი ათი შაური.—

---

### კერძოობითი განცხადება.

ისყიდება სახლი 532 საჟენი მიწით, ავლაბარში. ფასი შეიტყობა ბელონოვსკისას, ბეგლაროვისა და არიანტაკის სახლს გვერდით.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го сентября 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.